ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	**ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში** **BA in Georgian Philology**
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): • ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი • თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი • დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფ. ბელა წიფურია, პროფ. ირინა ლობჟანიძე, პროფ. ნინო დობორჯგინიძე
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2022 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ფართო თეორიული ცოდნა ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის შესახებ, განუვითაროს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლების, პრინციპებისა და ძირითადი თეორიების სინთეზისა და ანალიზის უნარები და შეასწავლოს დარგობრივი ტერმინოლოგია. გარდა ამისა, პროგრამა აძლევს სტუდენტებს ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიული და კულტურული კონტექსტების შესწავლის შესაძლებლობას და უვითარებს ისეთ ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, მსჯელობა და კრიტიკული ანალიზი, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. აღწერს ქართული ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების საბაზისო საკითხებს და ავლენს ცოდნას ენათმეცნიერების ძირითადი თეორიების შესახებ;
2. თეორიულად გადმოსცემს ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საბაზისო საკითხებს და პრაქტიკულად აანალიზებს შესაბამის ენობრივ მასალას;
3. იცნობს დარგობრივ ტერმინოლოგიას და ფლობს საანალიზო მასალის დამუშავების მეთოდოლოგიას;
4. ავლენს ცოდნას ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ, იცნობს ლიტერატურის თეორიის და ისტორიის ძირითად ასპექტებს;
5. აქვს ლიტერატურული ტექსტის წაკითხვის, ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარი; მსოფლიო ლიტერატურის ეპოქებთან, მიმდინარეობებთან, კულტურულ სტილებთან მათი დაკავშირების უნარი;
6. შეუძლია ქართული ლიტერატურის კონტექსტუალიზაცია, დაკავშირება ისტორიულ-პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ პროცესებთან;
7. გამომუშავებული აქვს ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისადმი კრიტიკული, თვითრეფლექსიური მიდგომა; აქვს ლიტერატურულ ტექსტში ეთიკური, ისტორიულ-იდეოლოგიური საკითხების იდენტიფიცირებისა და კრიტიკული შეფასების უნარი;
8. ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტებს; გამოხატავს პატივისცემას ქართულისა და სხვა ენების მიმართ;
9. საჭიროებიდან გამომდინარე პრაქტიკულად იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს; ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურა

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში - სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი შემდეგი სქემით:

თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:

- შესავალი თანამედროვე აზოვნებაში I, II - 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა - 6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO - 12 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი:

- სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი;
- სავალდებულო-არჩევითი კურსები- არანაკლებ 42 კრედიტი;
- არჩევითი კურსები- არაუმეტეს 18 კრედიტი;
  სტუდენტს არჩევითი კურსების ნაცვლად შეუძლია აირჩიოს პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები.

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- ელექტრონული და შერეული სწავლების ელემენტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- ჯგუფური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- სუპერვიზია;
- რეფლექსია და სხვა.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდიც, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპომენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები

- საარქივო, საბიბლიოთეკო სფერო;
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები, არქივები;
- მასობრივი მედია და ჟურნალისტიკა: გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო, და ახალი მედიები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (მხოლოდ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემთხვევაში);
- შესაბამისი პროფილის საჯარო და კერძო სექტორი;
- არასამთავრობო სექტორი.

- პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი;
- სალექციო აუდიტორიები;
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა;
- არგუსი; Turnitin და E-learning;
- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/
- ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი;
- შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი.